ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-011716167**

თარიღი: **10.06.2017**

ადრესატი:
შპს ინ-სი თაუერი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405043484
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისის მოედანი, (ნაკვ.30/60), 26 მაისის მოედანი (ნაკვ.30/53), 26 მაისის მოედანი (ნაკვ.30/59)

ბატონო გია,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი (N10/0117156926-17 05.06.2017წ.) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 26 მაისის მოედანი (ნაკვ.N30/60), (ნაკვ.N30/53), (ნაკვ.N30/59) შ.პ.ს. ,,ინ-სი თაუერი''-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი №01.10.13.030.081), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობაზე დარღვეულია საქართველოს მთავრობის N361 27.05.2014წ. დადგენილებით დამტკიცებული ''მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი''-თ გათვალისწინებული მშენებლობის უსაფრთხოების ნორმები. რაზედაც ჩვენი სამსახურის მიერ შ.პ.ს. ,,ინ-სი თაუერი''-ს მიმართ დაწყებულ იქნა საქმის წარმოება ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის'' საქართველოს კოდექსის 49-ე მუხლის ,,ა'' პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევისათვის და გაიცა მითითება N002556 02.06.2017წ.

ასევე გაცნობებთ, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად შემოწმების აქტის შედგენიდან კანონით გათვალისწინებულ ვადაში სამსახური მიიღებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილებას. აგრეთვე სამსახურის მიერ მიღებულია (N შ-36/17 02.06.2017წ.) დადგენილება მშენებლობის შეჩერების შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ სამშენებლო მოედანზე უნდა იყოს გამოყოფილი პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დაცვისათვის. აღნიშნულ მოთხოვნასთან დაკავშირებით,მითითებით გათვალისწინებულ ვადაში მშენებლობის დამკვეთის მიერ სამსახურში კანცელარიის შემვეობით წერილობითი განცხადების საფუძველზე წარმოდგენილ უნდა იქნეს სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი ინჟინერის მონაცემები: სახელი,გვარი,პირადი ნომერი,მობილური ტელეფონი,კვალიფიკაცია.განცხადებას ასევე უნდა ერთვოდეს აღნიშნული პირის პირადობის მოწმობის ასლი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთი (დიპლომი), ასევე მისი წერილობითი განცხადება, რომ გაცნობილია საქართველოს მთავრობის N361 27.05.2014წ. დადგენილებით დამტკიცებული ''მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი''-ს მოთხოვნებს და მისთვის ცნობილია იმ პასუხისმგებლობის თაობაზე, რაც მოცემული რეგლამენტის დარღვევის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში დადგება მშენებლობის დამკვეთის მიმართ.

პატივისცემით,

სამსახურის უფროსის მოადგილე მიხეილ მაღლაკელიძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

აღსრულების ეროვნული ბიურო

15 -06- 2017

GEORGIA TBILISI

კოდი:NBE765764

განცხადება : A17065388

ადრესატი : შპს ინ-სი თაუერი (405043484)

მისამართი : 26 მაისის მოედანი (ნაკვ.30/59)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
აღსრულების ეროვნული ბიურო
თბილისის სააღსრულებო ბიურო

საქართველო, თბილისი 0131, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–10 კმ. ტელ: +(995 32) 274 96 49; ელ.ფოსტა: nbe@nbe.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbe.gov.ge

A17065388

კოდი:53219194111545

A17065388-004/003

13.06.2017

მოვალეს: შპს ინ-სი თაუერი (405043484)

მის: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, 26 მაისის მოედანი, (ნაკვ.30/60)

26 მაისის მოედანი (ნაკვ.30/53)

26 მაისის მოედანი (ნაკვ.30/59)

დირექტორს: ირაკლი ტოგონიძე (01008013919)

მის.: თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 18

წინადადება გადაწყვეტილების შესრულების შესახებ

სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის (მერია) მიერ 06.06.2017 გაცემული #4-5/ს.ფ.-256-17 სააღსრულებო ფურცელი, რომლის თანახმად:

შეჩერებულ იქნეს შპს „ინ-სი თაუერი"-ს (405043484) მიერ ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი, ნაკვეთი N 30/60, 26 მაისის მოედანი, ნაკვეთი N 30/53, 26 მაისის მოედანი, ნაკვეთი N 30/59, საკ. კოდი: N 01.10.13.030.081-ში მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევით მიმდინარე მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა.

,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად გეძლევათ წინადადება ნებაყოფლობით, დაუყოვნებლივ აღასრულოთ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში აღსრულება განხორციელდება იძულებითი წესით.

,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 87-ე მუხლის შესაბამისად: თუ მოქმედება არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, რომელიც არ ასრულებს ამ მოქმედებას, მაშინ მოვალეს შეიძლება დაეკისროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ამ წინადადების მიღებისთანავე, გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულებასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ გვაცნობეთ თქვენი პოზიციის შესახებ. იძულებითი აღსრულების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ წინასწარ, პერსონალურად, დამატებით არ გეცნობებათ. მათი მიმდინარეობის დროის, ადგილისა და მდგომარეობის შესახებ თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ დეტალური ინფორმაცია აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ გვერდიდან: www.nbe.gov.ge (ვებ-გვერდზესადაც შეგიძლიათ გადახდის იდენტიფიკატორის და კრედიტორის პირადი ნომრის (საიდენტიფიკაციო კოდის) მითითებით მოიძიოთ

თქვენთვის სასურველი ელექტრონული სააღსრულებო წარმოება და ამობეჭდოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი. ამასთანავე ამავე ვებ გვერდიდან შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია გამოცხადებული აუქციონების შესახებ.

აქვე გაეცანით ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მხარეებისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

,,კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები გარდა კომერციული (საგადასახადო და საბანკო) საიდუმლოების შემცველი და სხვა კონფიდენციალური ინფორმაციისა, რომლებიც შეეხება აღსრულებას, მორიგდნენ, იდავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგინონ რეალიზაციას დაქვემდებარებული ქონების შეძენით დაინტერესებული პირები, გაასაჩივრონ აღმასრულებლის მოქმედება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარესთან ასეთი მოქმედების განხორციელებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ან პირდაპირ სასამართლოში ასეთი მოქმედების განხორციელებიდან 1 თვის ვადაში, გაასაჩივრონ საჩივართან დაკავშირებით მიღებული აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში, კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცემენ მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომელსაც იგი 3 დღის ვადაში სააღსრულებო წარმოების მხარეთა მორიგების დამტკიცების საკითხის გადასაწყვეტად უგზავნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც მიმდინარეობს აღსრულება, ხოლო თუ აღსრულება ერთდროულად მიმდინარეობს ერთზე მეტი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიებზე – ერთ-ერთ სასამართლოს.“; კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ აღსრულების გადადების, განწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედებების თაობაზე მიმართონ სასამართლოს”.

გაფრთხილებთ, რომ თქვენი მხრიდან აღმასრულებლის კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა, თავის არიდება ან აღსრულების პროცესისთვის რაიმე სახის ხელშეშლის მცდელობა ვერ შეაფერხებს იძულებით აღსრულებას და შესაძლებელია მსგავსი ქმედებისათვის დაგეკისროთ კანონმდებლობით გათვლისწინებული პასუხისმგებლობა.

,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღმასრულებლის მოთხოვნები შესასრულებლად სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახურს: (+995 32) 2 749-649

პატივისცემით

თბილისის სააღსრულებო ბიუროს

სტაჟიორ-აღმასრულებელი

ქეთევან ჭულუხაძე



ქეთევან ჭულუხაძე

საგადახდო დავალება No 01/1521

Transfer Order No 01/1521

ვალუტირების თარიღი/Value Date: 21/11/2017 რეფერენსი/reference: 6034881680

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: შპს იწ-სი თაუერი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE07BG0000000825667400GEL

თანხა/Amount: 5 350.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words: ხუთი ათას სამას ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: შპს იწ-სი თაუერი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 405043484

მიმღების დასახელება/Recipient: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE41BG0000000222222222GEL

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:

მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 21/11/2017

გადახდის დანიშნულება/Description: 01/1521 გად. იდენტ. 1729103435 ინკასო #01/1521 ს/ფ 4-5ს/ფ-546-17 ს/თ 5350 ლარი

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:

შტამპი: შ.პ.ს. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

საგადახდო დავალება No 01/1521

Transfer Order No 01/1521

ვალუტირების თარიღი/Value Date: 21/11/2017 რეფერენსი/reference: 6034881680

იგრძენი მომავალი — საქართველოს ბანკი CORPORATE

სს "საქართველოს ბანკი"/JSC "Bank of Georgia" | კონფიდენციალური/Confidential | დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან/Printed from Internet Banking

გადამხდელის დასახელება/Originator: შპს იწ-სი თაუერი

ანგარიში (დებეტი)/Account No (Debit): GE07BG0000000825667400GEL

თანხა/Amount: 5 350.00 GEL

გადამხდელის ბანკი/Originator Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

თანხა სიტყვებით/Amount in words: ხუთი ათას სამას ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

გადასახადის გადამხდელის დასახელება/Taxpayers name: შპს იწ-სი თაუერი

საიდენტიფიკაციო კოდი/Number Taxpayer: 405043484

მიმღების დასახელება/Recipient: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო

ანგარიში, სახაზინო კოდი/Acc.Treasure Code: GE41BG0000000222222222GEL

ბანკში შემოსვლის თარიღი/received by the bank:

მიმღების ბანკი/Recipient Bank: სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი/Bank Code: BAGAGE22

გატარებულია ბანკის მიერ/Implemented by the Bank: 21/11/2017

გადახდის დანიშნულება/Description: 01/1521 გად. იდენტ. 1729103435 ინკასო #01/1521 ს/ფ 4-5ს/ფ-546-17 ს/თ 5350 ლარი

ხელმოწერა/Signature:

დამატებითი ინფორმაცია/Additional Info:

შტამპი: შ.პ.ს. საქართველოს ბანკი J.S.C. "BANK OF GEORGIA" დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან PRINTED FROM INTERNET BANK

ხელმძღვანელის ხელმოწერა/Director Signature:

ბეჭედი:

მთ. ბუღალტერის ხელმოწერა/Chief Accountant Signature:

ვალუტირების თარიღი/Value Date:

ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება

2017 წლის 14 ნოემბერი

გამყიდველი: შპს „ინსი თაუერი“

მყიდველი: ვიოლეტა სიჭინავა უკრაინისმოქალაქის პასპორტის სერია და ნომერი: FB 446023 ჩაწერის ნომერი N19700155-00222

მინდობილი მესაკუთრე: თამაზ სიჭინავა პ/ნ 65002005309

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N171260390

დანართი 2.

ბინის ჩაბარების სტანდარტი

1. ფასადზე ალუმინის კარ-ფანჯარა;
2. მოპირკეთებული გარე ფასადი;
3. მოპირკეთებული ჰოლი, სადარბაზო და კორიდორები;
4. აივნების და აივნის უკრედის მოაჯირები – მოწყობილი;
5. ელექტრობის, ცივი წყლის, კანალიზაციის და გაზის დგარები მიყვანილი ბინაში;
7. გარე კომუნიკაციები (ცივი წყალი, კანალიზაცია, დენი, გაზი).
8. გარე კეთილმოწყობა;
9. ბინაში შესასვლელი რკინის კარი;
10. მოჭიმული იატაკი

ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება

მუხლი1. ხელშეკრულების თარიღი და მხარეები

1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2017 წლის 14 ნოემბერს

ხელშეკრულების მხარეები არიან:

გამყიდველი: შპს "ინ-სი თაუერი", საიდენტიფიკაციო კოდი 405043484, წარმოდგენილი მინდობილი პირის გრიგოლ გრიგალაშვილის მიერ

მყიდველი: ვიოლეტა სიჭინავა FB 446023 ჩაწერის ნომერი N19700155-00222

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულებით გამყიდველმა გაყიდა მის მომავალ საკუთრებაში არსებული მშენებარე უძრავი ქონების - საცხოვრებელ ბინის, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედნის მიმდებარედ სამომავლო საკუთრების უფლება, ხოლო მყიდველმა იყიდა ეს უფლება;

ძირითადი ხელშეკრულებით გადასაცემი ბინის მახასიათებლებია:

ზონა: თბილისი – 01;

სექტორი: საბურთალო – 10;

კვარტალი: 13;

ნაკვეთი: 030/081;

კოდი: 01.10.13.030.081.01.01.052;

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება;

ნაკვეთის ფუნქცია: არასაოფლო სამეურნეო;

დაზუსტებული ფართობი: 1572.00კვ.მ

მისამართი: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი , მიწის ნაკვეთის ს/კ 01.10.13.030.081

სართული: 16. 1 სადარბაზო, საცხოვრებელი ბინა N52, ფართი: 102,50 კვ.მ.

2. ნასყიდობის საგანს არ ადევს ყადაღა.
3. მიყიდველისთვის ცნობილია რომ ნასყიდობის საგანი დატვირთულია იპოთეკით – იპოთეკარი სს "საქართველოს ბანკი" , 11.09. 2014 წლის იპოთეკის ხელშეკრულება N514629-პ, რეესტრში რეგისტრაციის N140985463 და 09.03. 2017 წლის იპოთეკის ხელშეკრულება N CAH000202119, რეესტრის ნომერი N170236695/170236669,
4. გამყიდველი იღებს ვალდებულებას მე-3 მუხლში მითითებული იპოთეკაზე იპოთეკარისგან მიიღოს და გადასცეს მყიდველს იპოთეკის მოხსნის წერილი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უძრავი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემიდან ათი კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ნასყიდობის საგნის ფასი

1. ნასყიდობის საგნის ფასი შეადგენს 95 000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს გადახდის დღეს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსის შესაბამისად დღგ-ს ჩათვლით;
2. ნასყიდობის საფასურის გადახდა ხდება შემდეგი გრაფიკით:
   წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე მყიდველი გადაუხდის გამყიდველს 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს გადახდის დღეს თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსის შესაბამისად, რაც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის საფუძველს; ხოლო დანარჩენ თანხას (ნასყიდობის საგნის ფასს) მყიდველი გადაუხდის გამყიდველს დანართი №1-ის შესაბამისად.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ნასყიდობის საგნის ფასის სრული გადახდა წარმოადგენს მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებას;
4. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ სრულად დაიცავენ კონფიდენციალურობას ნასყიდობის საგნის ფასთან მიმართებაში;

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გაუფორმოს ძირითადი ხელშეკრულება უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნასყიდობის საგანზე (იხ. დანართი2);
2. *მყიდველი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით მოახდინოს ბინის გაზის მრიცხველების შესყიდვა-დამონტაჟება. მათ შორის, ქალაქის სამსახურებთან ურთიერთობა (გაზმომარაგება), რეგულირდება მყიდველის მიერ, შენობის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, იმ პერიოდისათვის არსებული მარეგულირებელი ნორმებითა და წესებით;*
3. გამყიდველი ვალდებულია შენობა-ნაგებობა, რომლის ნაწილიც უნდა იყოს ნასყიდობის საგანი, ჩაბაროს ექსპლუატაციაში;
4. თუ ექსპლუატაციაში ჩაბარებლობა გამოწვეულია კომპეტენტური ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაგვიანებით, ან სხვა გარეშე ფაქტორებით (ფორს-მაჟორი) რომლებიც გამყიდველის ქმედებას არ უკავშირდება, ამ შემთხვევაში მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ გადახედავენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს და შეიტანენ შესაბამის ცვლილებებს ხელშეკრულებაში;
5. გამყიდველი ვალდებულია ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება გაუფორმოს მყიდველს მშენებარე უძრავი ქონების ექსპლუატაციაში ჩაბარებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის განმავლობაში და გადასცეს საცხოვრებელი ბინა, რის შესახებაც მხარეები შეადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს;
6. მყიდველი თანხის სრულად გადახდისა და ძირითადი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ახორციელებს ნასყიდობის ხელშეკრულების და საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას საკუთარი სარჯებით;
7. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულების საგნის ექსპლუატაციაში ჩაბარების შემდეგ თუ მყიდველს დარჩენილი აქვს ფულადი დავალიანება გამყიდველის წინაშე მას ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულება გაუფორმდება ნასყიდობის საგნის ფასის სრულად დაფარვის შემდეგ სამი თვის განმავლობაში; ამასთან გამყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და გონივრულ ვადაში ნასყიდობის საგნის რეალიზაციის შემდგომ დაუბრუნოს მყიდველს გადახდილი თანხა წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გამოკლებით;

8. მყიდველის [illegible] უფლება-მოვალეობა, დადგენილი წინამდებარე ხელშეკრულებით გადადის მემკვიდრეებზე;
9. ძირითადი ხელშეკრულების გაფორმებამდე ნასყიდობის საგნის მესამე პირისათვის გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ გამყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

მუხლი 5. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები და მხარეთა პასუხისმგებლობა

1. იმ შემთხვევაში თუ "მყიდველი" ზედიზედ ორჯერ ვერ შეძლებს წინამდებარე ხელ–შეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას "გამყიდველი" წერილობით აცნობებს "მყიდველს" ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ და უფლებამოსილია, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, "გამყიდველმა" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის რეალიზაციის შემდეგ უნდა აუნაზღაუროს "მყიდველს" გადახდილი თანხა და უფლებამოსილია პირგასამტეხლოს სახით დაუქვითოს მყიდველს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) %;
2. თუ მყიდველი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი 1-ით დადგენილ გრაფიკს, გამყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით ყოველი გადაცილებული დღისთვის, მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ისა. იმ შემთხვევაში თუ ამ მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, გამყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის რეალიზაციის შემდეგ უნდა აუნაზღაუროს "მყიდველს" გადახდილი თანხა და უფლებამოსილია პირგასამტეხლოს სახით დაუქვითოს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) %;
3. იმ შემთხვევაში თუ საცხოვრებელი ბინის გადაცემამდე და მე-4 მუხლის მე-5 პუნქით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე მყიდველი საცხოვრებელ ბინაში ჩაატარებს სარემონტო სამუშაოებს და დაარღვევს დანართი №1-ით განსაზღვრულ გადახდის ვადებს, რისგამოც გახდება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, მყიდველს უფლება არ აქვს მოითხოვოს გამყიდველს საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული რემონტის ხარჯის ანაზღაურება.
4. "გამყიდველის" მიერ "მყიდველისათვის" თანხის დაბრუნება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ნასყიდობის საგნის სხვა სუბიექტზე გასხვისების შემდეგ;

მუხლი 6. უფლებების გადაცემისა და შეზღუდვების შესახებ

1. გამყიდველს უფლება აქვს მშენებარე უძრავი ქონების ექსპლუატაციაში მიღებამდე მოახდინოს სსიპ "არქიტექტურის სამსახურის" მიერ 07.04. 2014 წლის №121077 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის კორექტირება, რაზედაც მყიდველი აცხადებს თანხმობას.
2. გამყიდველს უფლება აქვს საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მიწის ნაკვეთის საზღვრების (ს/კ 01.10.13.030.081 ან/და სხვა მიწის ნაკვეთის კოდის ქვეშ არსებული მიწის, რომელზეც განთავსებული იქნება მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი) კორექტირება.
3. მყიდველის მიერ ექსტერიერზე დანადგარის (კონდიციონერის აგრეგატი და სხვა.) დამონტაჟება უნდა მოახდინოს გამყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე. მყიდველის მიერ დანადგარის არაორგანიზებულად დამონტაჟება ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და გამყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს მყიდველს ექსტერიერის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა და დაარიცხოს 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით.

მუხლი 7. ფორს-მაჟორული სიტუაციები

1. მხარეები არ აგებენ პასუხს შეუსრულებელი ვალდებულებებისათვის ფორს –მაჟორული გარემოებების დადგომისა და მათი მიმდინარეობის პერიოდში;
2. ფორს-მაჟორული ითვლება ისეთი გარემოებები, რომელთა დადგომის პროგნოზირება, თავიდან აცილება და/ან მიმდინარეობაზე ზემოქმედება აღემატება მხარის ძალებს, მათ შორისაა, მაგრამ არ შემოიფარგლება ამ ჩამონათვალით: სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, ხელისუფლების აქტები, რომლებიც მნიშვნელოვნად აბრკოლებს მხარის მიერ საქმიანობათა განხორციელებას და სხვა გარემოებები;
5. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს. თუ შეტყობინების გაგზავნა შეუძლებელია, მაშინ იგი უნდა გაიგზავნოს პირველივე შეძლებისთანავე. ამასთან მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ შეტყობინების გაგზავნა უფრო ადრე შეუძლებელი იყო;
6. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო დასაშვებია ამ ხელშეკრულების პირობების გადახედვა, რაც უნდა გაფორმდეს წერილობით.

მუხლი8. დავების მოგვარება

1. მხარეთა შორის ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვა ამ ხელშეკრულების საფუძველზე უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებით.
2. თუ მოლაპარაკების შედეგად ვერ მოხდა დავის აღმოფხვრა, დავის გადაჭრის მიზნით მხარე უფლებამოსილია მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ამასთან მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მიეცემა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 11 პუნქტის თანახმად.
3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა ან მისი ნაწილი ჩაითვლება ბათილად, ამგვარი პირობის ძალის დაკარგვა ზემოქმედებას არ მოახდენს ხელშეკრულების სხვა პირობების მოქმედებაზე, ბათილი პირობის ნაცვლად მოქმდებს წესი რომლითაც უცრო ადვილად მიიღწევა დასახული მიზანი.
4. ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. ნასყიდობის საგანი მყიდველის საკუთრებაში გადადის მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების მომენტიდან;
2. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან, რომ საჭიროებისამებრ წინამდებარე ხელშეკრულებაში გაწერილი ვადების გადახედვა და შექმნილ გარემოებებთან მისადაგება მხარეთა შეთანხმებით მოხდება წერილობითი ფორმით და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას.
3. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი პრინციპების შესაბამისად;
4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამყიდველი:	მყიდველი:
შპს "ინ-სი თაუერი" მის: ქ. თბილისი, ვახტანგ 72 ა ს/კ. 405043484 წამომადგენელი ვრიცელ გრიგალაშვილი საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE 22 ა/ა GE07BG0000000825667400	ვიოლეტა სიჭინავა FB 446023 ჩაწერის ნომერი N19700155-00222

	გადახდის თარიღი	თანხა	თანხა სიტყვიერად
1	14.11.2017	10 000 აშშ დოლარი	ათი ათასი აშშ დოლარი
2	14.12.2017	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
3	14.01.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
4	14.02.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
5	14.03.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი

6	14.04.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
7	14.05.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
8	14.06.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
9	14.07.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
10	14.08.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი
11	14.09.2018	8 500 აშშ დოლარი	რვა ათას ხუთასი აშშ დოლარი